1957

ნახ. გ. ფირცხალავასი

ხშირია შემთხვევები. როცა საექსპლოატაციოდ ბარდება დეფექტიანი და დაუმთავრებელი ბინები.

ჩვენი ქალაქების მატიანედან.

№ 22 ნოემბერი თბილისი 1957

ეშელონი



„ნიანგი“

ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი „ნიანგში“

მოგესალმებათ ნიანგი,
გაქებთ, გიწონებთ, გიმადლით.
დღეს ენატკბილი გამხდარა
საერთოდ ენაკვიმატი.
მოსულხართ, მოგიტანიათ,
რაც ლამაზია აფხაზეთს.
სად გაზაფხული იცინის
ყოველი ნავის აფრაზე.
სადაც გულღია აფხაზი
განთქმულა თავის მარჯვენით,
ხარობს სოხუმის მშვენებით,
წიაღმდიდარი ტყვარჩელით.
მოსულხართ, შეგგებებივართ
ძმურად და გულმხიარულად.
მშობლიურ თბილისს გამართეთ
ლეკსის, სიმღერის მარულა.
ჩვენც როდი დავიქანცებით
მასპინძლურ დაფაცურებით.
ამღერეთ აფხიარცები,
აგელვეთ აფხაზურები.
მართლაც გიხდებათ ჯირითი
ვაჟკაცებს ხელმა ძლიანებს.
გიძღვით დიმიტრი გულია,
მოლექსე, მემატიანე,
რომელი ნერგიც დაურგავს,
აუგად ხელს ვერ შეახებ.
აფერუმ იმის კაცობას.
ყოფილა კარგი მებაღე!
გალექსა აფხაზთ მშვენება,
დახატა, დაასურათა
და რუსთაველის ჰანგებიც
ააწყო აფხაზურადა.
თარბა და ბაგრატ შინკუბაც
მოსდევენ ლურჯა ცხენებით,
სიტყვას მიუშვეს სადავე,
დასძრეს ლამაზი ჭენებით;
უთქვამთ აფხაზთა მშვენება
ლექსად მრავალი თაბახი...
უთუოდ მათი ხვედრია
მოლექსეობის ყაბახი.
აგერ ჭიჭიკო ჯონუა
მერანს აგელვებს გნიასით.
ლირიკულ ეშხით ჭიხვინებს
იორღა აკობიასი.
ლაკირბაის და პაპასკირს
შეხედავ, თვალს ვერ მოსტაცებ,
როგორ უხდებათ ჯირითი
სიტყვის უებარ ოსტატებს.
„მამელუკი“ და „ოტელო“
მოდიან ჭენებ-ჭენებით,
აგრბა და ზუხბაც გამოჩნდნენ
თეატრალური მშვენებით.
და ამ მშვენიერ მარულას
მხატვრები ფიცხლად ხატავენ.
კუკულაძე და ყაზბეგი
ძლივს იკავებენ სადავეს.
მესმის ასეთი მარულა;
ტაში და ხმა ათასების,
თქვენი ხვედრია, წაიღეთ
როგორც ძვირფასი თასები.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible] ზიარიტიკული [illegible] კამპანიერების მიზნებ[illegible]

ერთი პატარა ამბავი მინდა მოგიყვეთ. დასკვნები შეიძლება თვითონ არ გავაკეთო, რადგან არავითარი სურვილი არ გამაჩნია ერთხელ კიდევ დავრწმუნდე ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკთა უპასუხისმგებლო მოქმედებასა და განცხადებებში.

გამომგონებელი გახლავართ. ჩემი დამუშავებელი და შექმნილი ბევრი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება დანერგილია წარმოებაში. ერთ დღესაც, როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ახალ და ძალზე სასარგებლო საქმეს მივაგენი, ე. ი. გამოვიგონე, სასწრაფოდ ნახაზები შევადგინე და იქით გავსწიე, რომ იტყვიან ხოლმე, სადაც ჯერ არსო.

ერთი კვირის შემდეგ შედეგის გასაგებად მივაკითხე, — «ხვალ მობრძანდით»,—მითხრა ახალგაზრდა მდივანმა ქალმა. მეორე დღეს დანიშნულ დროს მივედი. «დღეს მიღების დღე არ არის, ხვალ მობრძანდით», იყო თავაზიანი პასუხი. მესამე დღეს მივედი. «გასულია და მალე დაბრუნდება, დაელოდეთ», მითხრა იმავე ახალგაზრდა გოგონამ. იმ დღეს ლოდინით მოთმინების ფიალა ამევსო. დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე ვიჯექი მისაღებში, მაგრამ საშველი არ დამადგა. მეოთხე დღესაც მივედი. «დღეს ჩამოსულ დელეგაციას გაჰყვა და არ იქნება», მომიგო დამშვიდებული ხმით და ოდნავ ირონიული ღიმილით იმავე მდივანმა გოგონამ. მეხუთე დღესაც ვეახელი. ბედმა გამიღიმა და როგორც იქნა მიმიღო. «თქვენი საქმის შესახებ, მართალი რომ გითხრათ, ჯერ არაფერი გამიკეთებია. ხვალ გამოიარეთ და პასუხს მოგახსენებთ». გავწირე ის შაბათი დღეც და მივედი. «თქვენს განცხადებას გავეცანი. თქვენ გამომგონებელი ყოფილხართ, ეს უკანასკნელი კი ჩვენს უწყებაში არ შემოდის, უნდა მიმართოთ...» სიტყვა აღარ დავამთავრებინე, იმდენად ავღელდი. «აბა, ეს ორი კვირა რაღას დამაკარგვინეთ ცუდ-უბრალოდ. გაგონილა კაცის ასე აბუჩად აგდება!». «ამხანაგო, მიბრძანდით აქედან, თქვენს განცხადებასა და პროექტს კი სათანადო ორგანოებს გადავუგზავნი»! ასე დაიწყო მოგზაურობა ჩემმა განცხადებამ და გამოგონების პროექტმა. ხან ერთ დაწესებულებას მივაკითხავ, «ჩვენ არ გვეხება», მივიღებ დამამშვიდებელ პასუხს, ხან მეორეს— «ჩვენს უწყებაში არ შემოდის», გავიგონებ მეორისაგან.

«თქვენი საქმეები გადაიგზავნა ამა და ამ რიცხვში», მითხრეს ერთგან, «ჩვენ თქვენი საქმეები არ მიგვიღია», განმიცხადეს მეორედგან. ბოლოს და ბოლოს მთელი 8 თვის გასვლის შემდეგ, რის განმავლობაშიც საბუთები იგზავნებოდა ერთი დაწესებულებიდან მეორეში განსახილველად, დასკვნისათვის, რეზოლუციის დასადებად, ხარჯთაღრიცხვის შესადგენად, ხელმოსაწერად, პროექტი და ჩემი განცხადება უკან დამიბრუნდა მრავლისმეტყველი და ყველაფრის მთქმელი რეზოლუციით:

«მიუხედავად იმისა, რომ გამოგონების პროექტის ცხოვრებაში დანერგვა ტექნიკურად სავსებით შესაძლებელია და სარგებლობის მომტანი, დაზოგავს წარმოების ხარჯებს და დიდი ოდენობით შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, უარი ეთქვას სათანადო სახსრების უქონლობის გამო».

ასეთი რეზოლუცია რისი ბრალი უნდა იყოს, რას ფიქრობთ? როგორც ერთმა საქმეში ჩახედულმა და გამოცდილმა კაცმა, რომელსაც ასეთი რამ თავს გადახდომია, მითხრა: «ეგ ისეთი კაცის ხელში მოხვდა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ შენს გამოგონებას მართლაც დანერგავს ცხოვრებაში, მაგრამ შენი არც სახრავი იქნება და არც სახელი. მას ასეთი საქმე ბევრჯერ გაუკეთებია, ბევრი გამოგონება მიუთვისებია, მაგრამ წყლიდან ყოველთვის მშრალად გამოსულაო.

ახლა ისეთი მანქანის გამოგონებაზე ვმუშაობ, რომ ასეთი ხალხი წყლიდან მშრალად ვერ გამოვიდეს.

ე. მესხი

თბილისის „ტტს"-ის ფეხბურთელთა გუნდმა ძირეულ სპორტულ კოლექტივებს შორის გამართულ ასპარეზობაში, რომელშიც მონაწილეობდა 21.140 ფეხბურთელთა გუნდი, მოიპოვა საკავშირო გარდამავალი თასი.

ნახ. გ. ფირცხალავასი

განა მარტო ბიგელს სწევენ
და ტრამვაი მიჰყავთ მარჯვედ?
თვით ბურთების გატანაშიც
სასახელოდ გაიმარჯვეს!

— ამ ახალგაზრდას კოკებზე ეტყობა რა პოეტიც დადგება.

პოეტის კანონიერების კოდი

პოეზიამ, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებმა, რთული ევოლუციური პროცესები განიცადა. თუ წინათ იგი ბსტრაქციის და რაღაც განუსაზღვრელს წარმოადგენდა, ხოლო მისი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც პარნასის მთაზე იმყოფებოდა, ზოგად საკაცობრიო ორგანიზაციას შეადგენდა, დღეს იგი უზარმაზარ პოეტურ ინსტიტუტად გაიზარდა, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში აქვს თავისი ფილიალები და დაუსწრებელი სწავლების ინსტიტუტები. ეს ორგანიზაციები ახლა უკვე ყოველწლიურად მილიონობით კვალიფიციურ კადრებს აწვდიან კაცობრიობას.

მოკვდა ის დრო, როდესაც პოეზია ატომივით მატერიის გაუყოფელ, დაუშლელ ნაწილად მიიჩნდათ. დადგა დრო და საზოგადოებრივმა აზრმა ეს პოეტური ატომი უამრავ შემადგენელ ნაწილად დაშალა.

უპირველესად ყოვლისა, პოეტები 4 ძირითად ჯგუფად დაიყო:

1. დამწეები პოეტები—8 წლიდან 30 წლამდე.
2. ახალგაზრდა პოეტები—14 წლიდან 50 წლამდე.

ეს პოეტური კატეგორია კიდევ იყოფა მრავალ ქვეკატეგორიად:

ა) იმედის მომცემი.
ბ) უდავოდ ნიჭიერი.
გ) მაგისაგან კი პოეტი დადგება.
დ) რაღა დროს მაგის ახალგაზრდა პოეტობაა, თუ ამა ხარ!

3. უფროსი თაობა—40 წლიდან—სიკვდილამდე.

ქვეკატეგორიები:

ა) ნაკითხია.
ბ) ბუნებას გრძნობს.
გ) სუსტია, მაგრამ აქტუალურია.
დ) წაიახლ ხურებს.
ე) ერთი ამოსუნთქვით აქვს ნათქვამი.
ვ) უკეთესი არაა და...
ზ) რა ქნას, ფული სჭირდება.
თ) მაგას რომ არ დავუბეჭდოთ, შეგვეჯამს.

4. კლასიკოსი: ეს კატეგორია, როგორც წესი, მწერლის გარდაცვალების შემდეგ იქმნება.

თავისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე პოეზია შემდეგ დარგებად დაიყო:

1. სამრეწველო პოეზია:

ქვედარგები:

ა) მძიმე ინდუსტრია.
ბ) მსუბუქი მრეწველობა.

მოვიყვანოთ მაგალითი მძიმე ინდუსტრიიდან:

„მარტენი,
ბოლტები,
ვინტები,
ქანჩები,
მე ამ ცელის შემდეგაც
დაზგასთან დავრჩები...
და რომ მომცენ მე უფლება,
არ ავიღებ შეებულებას“.

საერთოდ სამრეწველო პოეზია, როგორც შედარებით ახალი დარგი, ჯერ მთლიანად არ არის ათვისებული, ისე კი დიდ პერსპექტივებს იძლევა.

2. აგრარული პოეზია:

განხრები:

ა) სარეველა მცენარეების განხრა.
ბ) მეცხოველეობის განხრა.
გ) მექანიზაციის განხრა.
დ) აგრონომიული განხრა.

მოვიყვანოთ მაგალითი რამდენიმე განხრიდან.

სარეველარეების განხრით:

დაუტბენს ბალახი,
ენებს ყაყაჩო,
ბეზუსებს დაიყრის,
ოს წვიმა დაახრჩობს,
პირველი გაზაფხულია...“

მექანიზაციხრით:

„ოქ! წინათ ჩხაოდა ტრა,
ჩვენნეთ ასპირანტურა,
ასი ერთ ღღეს დატორეს,
ვაშატორებს!!!“

აგრონომიანხრით:

„ამ ს ხომ ვაშლი აბია,
არცა, არც ბია,
ყინვა აქვს შიშია,
მიჩელი ჯიშია.
ხეს ეპამს კვირტები,
მოდ ნე გაკვირდები“.

აგრარულეზია შედარებით ძველი, უკვე დაბეგწილი ია და მასში საკმაოდ გამოცდილი კვალიფიკ სპეციალისტებიც გვყავს.

შემდეგ ია:

3. სამედ ინ პოეზია:

განხრები:

ა) ქირურგი განხრა.
ბ) ყელ-ყნაბნხრა.
გ) შინაგანეულებანი.
დ) ნევრიზა.

მოვიყვანოთ კომპლექსური მაგალითი:

„შენ ლმბლე ჩემთვის ქვეყანა,
შენ ლოლეე საღი მიზნები,
ჩემს სი ფეხი ამოიკვეთე,
თითქმანჯავდნენ რეემატიზმები,
მანერეა მთელი საღამო,
შენს ყურს ყკოცნი, როგორც მალამოს,
მე სიყლის მომკლა ძალამო...“

4. არქეოლეური პოეზია: პოეზიის ეს დარგი ცოტა სეედ უმეედო, შემაღონებელი, თუმც ამაღლებებ ით განვითარდა.

„ჩემს ბნელ ირსზე დაცვიეინ ღორღნიც და ქვანიც,
არქეოლოგ ბმთხრიან ძელების ამარას,
როგორც ბოგა აუსხნილი დარჩებათ მაინც,
რომ მე მეშინ ა ტრფობამ დამასამარა.
და ერთ დ ადიდი პოეტი და მკვიდრი მარტყოფის
ვი მეცნიერ ეუ ვეგონე პტეკანტროფი“.

შემდეგ ია:

5. სანტ ბ ეური ლირიკა. პოეზიის ამ დარგმა ყველაზ ეი გავრცელება და აღიარება ჰპოვა დღევანდ ღეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლ ოდ მხოლოდ ამ დარგში მიიგნო პოეზიამ თავ �ებს. პოეზიის არც ერთ დარგში ასე არ იგრ ძნობა ადამიანის შინაგანი წვა, გარეგანი ფეთ ქეა. ბუნ ქვა, ოხვრა, კვნესა, ზლუქუნი, ქვითინი, ლ ბი და ხითხითი.

იგი საკმაოდ რთული, უცნაური და ორიგინალური განხრებისაგან შედგება:

ა) ტირიფი რომ ტირის.
ბ) წვიმიან ამინდში შეაყვარებულის ფანჯრის ქვეშ დაჩოქილი სერენობა.
გ) შეაყვარებულს რომ აკოცებ და მთავარეს რომ შერცხვება.
დ) ოი, დამიბრუნდი.
ე) ვაი, შემიბრალე.
ვ) ვუი, სად ხარ.

მოვიყვანოთ კომპლექსური მაგალითი.

„როცა გავცდინ აკაცივებს...
გაკოცე და გაგაქცევ...
ასე რატომ დამაქცევ?!.
პიემანზზე არ დადიხარ აღარც ერთი წამითა...
მთავარე ისე, როგორც ყანწი. წყაქცია მთაწინდამ,
შენს ეზოში გამოდარდა, ჩემს ეზოში გაწვიმდა...
ვაჰ, ტირიფო, ტირიფო...
რატომ ტირი, ტირიფო,
ოხ, ტირიფო, ტირიფო,
ტირი ხომ?..“

ასეთია მოკლედ პოეზიის განვითარების ის რთული გზა, რომელიც გაიარა მან კრისტეს დაბადებიდან დღემდე.

მაგრამ პოეზიას არ მიუღწევია ჯერ თავისი განვითარების საბოლოო მწვერვალისათვის. პოეზია შეუფერხებლად მიჰქრის თავისი განვითარების გზით, და ისევე, როგორც შენდელეეემა, დასტოვა ცარიელი ადგილები თავის ელემენტთა პერიოდულ სისტემაში და იწინასწარმეტყველა სათანადო ელემენტთა უცილობელი აღმოჩენა, ისევე მეც ვტოვებ პოეზიის ამ კლასიფიკაციაში ცარიელ ადგილებს და ვწინასწარმეტყველებ, რომ დროთა განმავლობაში აღმოჩნდებიან შემდეგი პოეტური დარგები:

1. ჰიდროლოგიური პოეზია (ამ დარგში უკვე გეხვდება ცდები).
2. პარფიუმერიული პოეზია.
3. ხიდბოსტნეულის პოეზია (ცდები აქაც არის).
4. გემო-კვების პოეზია.
5. საშაქარლამო პოეზია.
6. ნაპახმელიარი პოეზია (პოეზიის ამ დარგს განსაკუთრებული პერსპექტივები აქვს ჩვენში).

შემდეგ ეს დარგები განვითარდებიან, დაქუცმაცდებიან და დაწვრილმანდებიან ისე, რომ ლექსის წერა ხელმისაწვდომი გახდეს არა მარტო პოეტთათვის, არამედ ყველა პატიოსანი მოქალაქისათვის.

მოქალაქენო, დაეუფლეთ ლექსის წერის სარფიან პროფესიას!

ჯვეგე ლუგაკა

ნახ. ა. კანდელაკისა

— ჩვენმა გამგემ ხულ თავისიანები შემოიკრიბა გარშემო.
— წინდახედული კაცია, ვინ იცის რა მოსდეს, თავისიანი უფრო გიტანს.

ნახ. ზ. ლეფავანი

ახალგაზრდა კოტეტი—ახლაც იტყვიან ჩემზე, რომ ხალხი ხელით არ მატარებს!

„სპეციალური მიზეზი“

ნახ. ო. ჯიშკარიანისა



— ეს კრამიტი ცისქვეშ არ დააწყოთ, დასველდება.
— მერე რა?
— მცხეთურია, დაიშლება.

ნახ. დონისა

— რაშია საქმე, თქვენი ძეხვები აქ მსხვილად გამოიყურება, ხოლო შეწვავ თუ არა, ნახევარი ლუკმა გამოდის!
— ამიტომაც ჰქვია ნახევარფაბრიკატი, მოქალაქევ!

ანეკდოტი თვალში

- «ვენტილატორი» ისე ემსახურებოდა, რომ ცივ ნიავს არ აკარებდა.
- საპნის ქურდმა თავი იმართლა: ხელი უნდა დამებანა ქურდობისაგანო.
- მესაზღვრის სიფხიზლეს საზღვარი არ ჰქონდა.
- ცნობათა ბიუროში ცნობისმოყვარეობა თუ მიიყვანდა.
- კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პური დროულად გაანიავა.
- ჩაგდებული თხუთმეტკაპიკიანი ტელეფონს კაპიკადაც არ ჩაუგდია.
- ექიმმა გადამდები სენით დაავადებული ავადმყოფი ვერ მიიღო—გადაუდებელი საქმეები მაქვსო.
- ნოქარს ჰკითხეს—ამოდენა სახლის აშენებაში ვინ მოგეხმარაო და მომხმარებლებიო.
- გამაგრილებელი წყლების წერტში ყველაფერი დუღდა, მხოლოდ გამგე იყო გულგრილი.
- დამწყებ. მწერალს უთხრეს—რომანი რომ დაგიბეჭდოთ, მეორედ მოსვლაა საჭიროო.
- სახლმმართველმა განაცხადა—ეზოებში სიბინძურეს ადგილი აღარ აქვსო.
- პოეტს მუზის მოლოდინში გული მოუვიდა.
- კრებაზე უხასიათობის გამო დაახასიათეს.
- ვაჟი ქალს ეფიცებოდა—შენთვის მოვკვდები უსიკვდილოდ.

გაიოზ შავერზაშვილი



— რა აზარტით თამაშობს ჩვენი ინჟინერი ნარდს.
— უყვარს სანარდო საქმე.

ნახ. ზ. ლეჟავასი

ყურადღება!

თბილისის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და უკეთ მომსახურების მიზნით წინადადებას ვიძლევით კიროვის რაიონში, ყოფილ თათრის მოედანზე, სადაც სპეკულაციურ ფასებში იყიდება: ჩვენი, ჩინური, ჩეხური, იუგოსლავური, რუმინული ფეხსაცმელები, ნებისმიერი ავეჯი. ძვირფასი შალის ნაჭრები, პერანგები, კოსტიუმები, მაცივრები და სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი საქონელი;

გაიხსნას უნივერსალური საცალო მაღაზია და ვაჭრობა წარმოებდეს დღისით—მზისით.

შენიშვნა: სახურველია წესრიგის უზრუნველყოფა დაევალოს კიროვის რაიონის მილიციას.

„ნიანგის“ რაციონალიზატორული წინადადება

„ნიანგს“ შემოაქვს რაციონალიზატორული წინადადება: ყველა ახალ სახლში (დამთავრებულსა თუ დაუმთავრებელში) ლითონის ეკონომიისა და კიდევ სხვა მიზნებისათვის გამოყენებულ იქნას ერთი სახის გასაღები და დაიკეტოს მხოლოდ და მხოლოდ სადარბაზო შესასვლელი. ყველა ბინის კარი დატოვებულ იქნას ღიად, რაც აღმოფხვრის მეზობლობაში უნდობლობას და ეჭვიანობას, რომელიც საფუძველია ყოველგვარი ჭორისა და ვითქმა-მოთქმისა.

შენიშვნა: სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ რაციონალიზატორული წინადადების პრიორიტეტი ეკუთვნის თბილისის იმ წარმოებას, რომელიც სტანდარტულ გასაღებებს უშვებს.

შენიშვნის შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ამზადებენ მხოლოდ ერთი სახის გასაღებს, რომელიც ყველა ახალი სახლის ყოველი ბინის ყველა კარს აღებს.

ნიანგს გადაწყვეტილი აქვს გარდამავალი თასი მიაკუთვნოს თბილისის № 30 საფოსტო განყოფილებას მოქნილი და ოპერატიული მუშაობისათვის.

საფუძველი:

1) წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების სწრაფი მიტანა ადრესატებამდე, ასე, ერთი-ორი კვირის განმავლობაში მაინც.

2) ხელისმოწერლებზე მშობლიური ზრუნვა, რათა ისინი არ გადაიღალონ ზედმეტი კითხვით, და ამ მიზნით გამოწერილი ჟურნალების უგზოუკვლოდ გაქრობა.

ასპირანტურის განყოფილების გამგეს

ასპირანტ მოუცლელიძის განცხადება

ვირიცხები თქვენდამი რწმუნებულ განყოფილებაში. მსურდა გამომემჟღავნებინა მეცნიერული ცოდნა და ერუდიცია. მაგრამ სხვადასხვა მიზეზებმა ხელი ამაღებინეს ჩემს წმიდათა-წმიდა განზრახვაზე.

ვინაიდან არჩეული ვარ ინსტიტუტის პროფკავშირულ ბიუროს მდივნად, ვასრულებ «დოსაააფ»-ის თავმჯდომარის როლს, ვიმყოფები საზოგადოება «ტყის მეგობრის» თავმჯდომარის მოადგილედ, გავრბი-გამოვრბივარ აგიტაციებისა და სპორტული თამაშების ჩასატარებლად, შევდივარ კედლის გაზეთის რედაქციის შემადგენლობაში და, გამოვდივარ რა მოთმინებიდან და ყოველივე ამიდან, გთხოვთ ყურად იღოთ ჩემი ჩივილი და თქვენ მაინც გამათავისუფლოთ ასპირანტის მოვალეობისაგან.

განმცხადებელი: **პროფკავშირის ბიუროს მდივანი**
„დოსაააფის“ თავმჯდომარე
„ტყის მეგობრის“ თავმჯდომარის მოადგილე
აგიტატორი
სპორტსმენი
კედლის გაზეთის რედაქციის წევრი
(ასპირანტი)

25. XI. 57 წ.

მოუცლელიძე

457
19/XII 57

ძმაო ნიანგო!

(ს. წითელმთა)

გაგიგონია, რომ რადიოს დუმილში აბონენტებს ფასს ახდევინებდნენ? რა ვიცი, ჩვენთან, წითელმთაში კი ასეა და!

აკი მუშაობდაო,—გვეტყვი. მუშაობდა, მაგრამ ეს იყო ორი წლის წინათ, რადიოქსელის გამოყვანის პირველ თვეებში. მაშინ გახარებულიც ვიყავით და ფულსაც სიამოვნებით ვიხდიდით.

ახლა კი... აგერ ორი წელი გადის, ერთხელ რომ ამოიკნავლებს ჩვენი რადიო, თვეების განმავლობაში სდუმს. გადასახადის ასაკრებად კი ჩვენი რაიკავშირგაბმულობა «დოგა-დოგა» გვადგია.

ვის არ მივმართეთ, ვის არ შევევედრეთ, თვით ჩვენს რაიგაზეთსაც, მაგრამ ჩვენს რადიოქსელს წამალი ვერ გამოვუნახეთ!

იქნებ გაახსენო რაიკავშირგაბმულობას, რომ ჩვენც გაგვიხსენოს!

გ. ციხკარელი

მადლს—მარილიც!

(კურორტი მენჯი)

ძვირფასო ნიანგო, ამ ათიოდე წლის წინათ კურორტ მენჯის შუაგულში გააშენეს ბაღი და შიგ კოპწია ესტრადაც გამოჭიმეს. ღვთის მადლი გეწიოს—მით სიხარულს ვეწიეთ: ყოველ ღამე ახალ კინოსურათებს ვნახულობდით... მაგრამ დროს ხომ თავისი მიაქვს. ჩვენი ესტრადაც თან გაიყოლა.

— მაგის შეკეთება რა ხეირია, ახალ შენობას ავაგებთ ცივს გაღმაო,—გვითხრეს.

უცებ მოზიდეს საშენი მასალა, მალე საძირკველმა ცხვირი ამოყო, მაგრამ გულმავიწყობამაც თავი წამოყო და ჩვენ დღესაც უკლუბო-უესტრადოდ ვართ.

შენ რას იტყვი, ძვირფასო ნიანგო, მადლს—მარილი არ უნდა?

მენჯელები

ღია გარათი

ზუგდიდის რაიონის ს. კორცხელის სახ. საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. რ. ფანციას და ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. თ. ძოგბალიას

პატივცემულო ამხანაგებო! „ნიანგის“ № 19-ში პატარა, უწყინარი კორესპონდენცია მოვაოავსეთ. ეს კორესპონდენცია თქვენი სოფლის წყაროს ეხებოდა: იქ ნათქვამი იყო, ს. კორცხელის წყარო შეკეთებას მოითხოვს, ხოლო სოფლის მესვეურები ყურადღებას არ აქცევენო.

ეს, რა თქმა უნდა, სიგნალი იყო, მეგობრული კრიტიკა. აბა, რა ვიცოდით, თუ კრიტიკა გეწყინებოდათ, შეურაცხყოფად მიიღებდით და მრისხანე საბუთებით „დაგვარწმუნებდით“. ჯერ-ჯერ წყალს ვინცა სვამს, წყაროს შეკეთებაზედაც მანვე უნდა იტეხოს თავი?

დიდ ბოდიშს ვიხდით, ჩვენ გვეგონა, რომ სოფლად წყლის, გზების, სინათლისა და სხვა „წვრილმანების“ შეკეთება თუ გაკეთება სოფლის საბჭოს; ან კოლმეურნეობის გამგეობის საქმე იყო.

სხვებრ, მოგესალმებით მოკითხვითა და ნახვის ნატვრით.

ნიანგი

რედაქტორი—ელგუჯა მაღრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. **რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49**

გამომც. № 22. ხელმოწ. დასაბ. 4/XII-1957 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14.
შეკვ. № 1312 უე 04705 ტირ. 30.000.

ნახ. ა. კანდელაკისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას უცდი, იაკინთე, რატომ შეაჩერე მშენებლობა?

— კვარტალის ბოლოს ველოდები.

— რა გეკვარტალება, კერძო სახლს არ აშენებ?

— მე კი, მარა, ჩემს გვერდით რომ ასბინიან სახლს აშენებენ, იქ კვარტალის ბოლომდე არ მიიღებენ მასალას.